საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური

ქ. თბილისი **05 ივნისი, 2023 წელი**

„სატენდერო და საკონკურსო კომისიისა და სატენდერო და საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 ივლისის N18153 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N1

საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“- ს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045) ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოების (CPV45111300 - დემონტაჟის სამუშაოები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
მიხეილ ახვლედიანი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ზვიად პაპიძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

სატენდერო კომისიის წევრები:
ლაშა სხიერელი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
დიმიტრი მუჯირი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი ყენია - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
ნოე მამულაშვილი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი;
გივი ცქვიტინიძე - ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
ლანა ტალახაძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

დღის წესრიგი:
საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“- ს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045) ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოების (CPV45111300 - დემონტაჟის სამუშაოები) **შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.**

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ლანა ტალახაძემ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებს, სხდომაზე დასამტკიცებლად წარუდგინა, **საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“- ს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045) ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის** სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. ასევე, ფინანსური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს მოთხოვნით (მოხსენებითი ბარათები N46350-21-02 17.05.2023) განსაზღვრული სავარაუდო ღირებულება და შესყიდვის ობიექტის ხარჯთაღრიცხვა.

განიხილეს:
სატენდერო კომისიის დამსწრე წევრები გაეცნენ სატენდერო კომისიის აპარატის მიწოდებულ ინფორმაციას და განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგზე:

- შესყიდვის საშუალებად განისაზღვროს **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT).** ტენდერი გამოცხადდეს არაუმეტეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში;
- სამუშაოების სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს - **384 430.00 (სამას ოთხმოცდაოთხი ათას ოთხას ოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი** (დღგ-ს გათვალისწინებით);
- სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვროს - ხელშეკრულების გაფორმებიდან **150 (ას ორმოცდაათი)** კალენდარული დღე;
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვროს სახელშეკრულებო ღირებულების **5%-ის** ოდენობით, ხოლო სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის **20%-ით** ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა განისაზღვროს **10%-ის** ოდენობით. ხელშეკრულების შესრულების

უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ **60 (სამოცი)** კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას.

- შესყიდვის დაფინანსების წყაროდ განისაზღვროს - 2023 წლის სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრები.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ტენდერის სავარაუდო ღირებულების, ასევე შესასრულებელი სამუშაოების სირთულისა და მოცულობის და მიწოდების ვადის გათვალისწინებით განისაზღვრა, პრეტენდენტის გამოცდილების მიმართ ქვემოთ მოცემული მოთხოვნები.

1. პრეტენდენტს, საანგარიშო პერიოდში, ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა ან არაუმეტეს 5 (ხუთი) შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების არანაკლებ 150%-ისა.

2. საანგარიშო პერიოდი მოიცავს: 2020 წლის 05 ივნისიდან ტენდერის გამოცხადების თარიღამდე პერიოდს.

3. ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებს მიეკუთვნება: საცხოვრებელი და არასცხოვრებელი შენობანაგებობების სამშენებლო ან/და სარემონტო ან/და სარეკონსტრუქციო ან/და მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები.

არსებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნები.

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიამ დაადგინა:

1. სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით დამტკიცდეს, **საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა"- ს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045) ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოების (CPV45111300 - დემონტაჟის სამუშაოები)** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების პროექტი წინამდებარე ოქმზე თანდართული დანართი N1 ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე: **მიხეილ ახვლედიანი**----------

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **ზვიად პაპიძე** ----------

სატენდერო კომისიის წევრები:

ლაშა სხიერელი----------

ნოე მამულაშვილი ----------

გივი ცქვიტინიძე ----------

დიმიტრი მუჯირი ----------

გიორგი ყენია ----------

სატენდერო კომისიის აპარატის **ლანა ტალახაძე** ----------

LEPL REVENUE SERVICE

Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE
Date: 2023.06.05 18:54:12 +04'00'

შესყიდვა დასრულდება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება	
შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	N/A
შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი
შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	
წინადადებების მიღება იწყება	10.06.2023 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.06.2023 13:00
დაფინანსება	2023 წლის სახსრები
შესყიდვის საერთაშორისო ღირებულება	384`430.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

დამატებითი რაუნდები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 45111300 - დემონტაჟის სამუშაოები

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	3`844.00 GEL
გარანტიის ოდენობა	3`844 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“- ს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045) ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოები

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა"- ს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045) ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოები.

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტით განსაზღვრული პირობები გათვალისწინებული იქნება შემდგომში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში.

სამუშაოები მოიცავს საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა"- ს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045) ტერიტორიაზე არსებული ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოებს.

აღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი N1-ით მოცემული კონკრეტული სამუშაოების, მოცულობების და პირობების შესაბამისად (დანართი N1 ხარჯთაღრიცხვა ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტში ითვლება სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილად).

სამუშაოების სრული ჩამონათვალი და მოცულობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართი N1, ხარჯთაღრიცხვაში. დანართში გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოწყობილობებითა და ხარჯებით.

შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე) მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს შესახებ შედგენილი ფორმა N2, შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენის მიზნით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა (ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი) და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ, რომლითაც დადასტურებული იქნება შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება.

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების მიხედვით.

1. ტენდერში ამხანაგობის მონაწილეობა

1.1 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის ამხანაგობა, მაშინ მისმა მონაწილეებმა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ (შინაარსობრივად), თუ თითოეული მონაწილე კონკრეტულად რომელ ვალდებულებას შეასრულებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2 ამხანაგობის მონაწილეთა ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობა დგინდება მონაწილის მიერ შესასრულებელი ვალდებულებისადმი დადგენილ მოთხოვნასთან მიმართებით, ამ კითხვარის 1.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთან, დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება.

2. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმო ან მისი წარმომადგენლობა/ფილიალი საქართველოში:

2.1 სათაო კომპანიის მიერ გაცემული ნებისმიერი სახის ცნობა ან/და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს სათაო კომპანიის

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.2 სათაო კომპანიიდან ან/და უცხო ქვეყნიდან მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, მათი ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად.

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შედგენილი უნდა იყოს, ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების შესაბამისად.

2.3 პრეტენდენტის მიერ დანართი N1 - ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს EXCEL-ის ფორმატში.

2.4 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დემონტირებული მასალების, სახეობების მიხედვით დასაწყობება, საბაჟო გამშვები პუნქტი "ნინოწმინდა"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე.

ნინოწმინდას დემონტაჟის პროექტი_compressed.pdf

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

დანართი N1 - ხარჯთაღრიცხვა.xls

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

სამუშაოების შესრულება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღის მომდევნო კალენდარული დღიდან და უნდა დასრულდეს 150 (ას ორმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში (დანართი N2-ის შესაბამისად).

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია, ს.კ. 65.13.33.045.

1.6 მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა

დემონტაჟის სამუშაოებზე საგარანტიო ვადა არ მოითხოვება.

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. პრეტენდენტს, საანგარიშო პერიოდში, ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა ან არაუმეტეს 5 (ხუთი) შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების არანაკლებ 150%-ისა.

2. საანგარიშო პერიოდი მოიცავს: 2020 წლის 30 მაისიდან ტენდერის გამოცხადების თარიღამდე პერიოდს.

3. ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებს მიეკუთვნება: საცხოვრებელი და არასცხოვრებელი შენობანაგებობების სამშენებლო ან/და სარემონტო ან/და სარეკონსტრუქციო ან/და მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები.

4. პრეტენდენტის მიერ, საანგარიშო პერიოდში, ფაქტობრივად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ ინფორმაციად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი:
4.1. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლი და გაფორმებული (გამოცემული), დამკვეთის მიერ დადასტურებული, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი მათ შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტიც რომლითაც დადასტურდება ფაქტობრივად შესრულებული, ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების ღირებულება. არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ დოკუმენტებს თან უნდა ერთვოდეს, სამუშაოების შესრულების აქტები (ფორმა N2).

ან/და

4.2 წარმოდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვის განცხადების ნომერები (მაგ, NAT; SPA; CMR და ა.შ.).

5. ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები რომლებიც შესრულებულია ერთობლივად, ამხანაგობის (ან სხვა მსგავსი გაერთიანების - ერთობლივი საწარმო, კონსორციუმი და სხვა) მიერ, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ამ კითხვარის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

6. ამ კითხვარის 4.1 პუნქტით მოთხოვნილი ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების დამადასტურებელი უცხო ენაზე გაფორმებული ხელშეკრულებები, პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს შემოკლებული სახით, რომელიც, მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
(ა) ხელშეკრულების დამდები მხარეები;
(ბ) ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა, მაგ.:ტექნიკური დავალება ან სხვა მსგავსი დოკუმენტი, საიდანაც ნათლად უნდა იკვეთებოდეს შესყიდვის ობიექტის შინაარსი);
(გ) ხელშეკრულების ღირებულება;
(დ) ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, სამუშაოების შესრულების ვადები;
(ე) მხარეთა ხელმოწერები.

☐ 2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

☐ 2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

არა

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

დანართი N2 - სამუშაოების შესრულების ვადა.

დანართი N2.pdf

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელშიც ტექსტობრივად მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, 2017 წლის 26 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N439 დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკის" მოთხოვნებთან დასკვნის შესაბამისობა. წარმოდგენილი დასკვნით უნდა დასტურდებოდეს პრეტენდენტის მიერ ატვირთულ სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში (სატენდერო წინადადების საბოლოო ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა) დაფიქსირებული ერთეულის ფასებით და აგრეთვე ჯამური ღირებულებით ამავე ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა. ექსპერტიზის დასკვნას თან უნდა ერთვოდეს სატენდერო

ხარჯთაღრიცხვა და რესურსული მეთოდით შედგენილი ხარჯთაღრიცხვა.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ გაცემული დასკვნის შემთხვევაში, დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოითხოვება.

ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 28-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული პირობები.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 15 სამუშაო დღის ვადაში

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.1 მიუთითეთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 5 %-ის ჩათვლით)

5 პროცენტი

ჩაწერა

6.2 მიუთითეთ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 10 %-ის ჩათვლით)

10 პროცენტი

ჩაწერა

6.3 მიუთითეთ გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას.

6.4 მიუთითეთ გარანტიის პირობები

- მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.
- ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას.
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან, ან სსიპ "საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური"-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიებიდან, ასევე შესაძლებელია აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი იქნეს „არარეზიდენტი" საბანკო ან სადაზღვევო კომპანიიდან, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან,

ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტიაში მითითებული უნდა იყოს აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული განცხადების ნომერი და პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო კოდი;

- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო შესაბამისი პირგასამტეხლოს, საჯარიმო სანქციების ან/და ზიანის ანაზღაურების მიზნით;

- მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ, ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველმა მიმწოდებელს უნდა დაუბრუნოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია.

ასევე შესაძლებელია აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი იქნეს „არარეზიდენტი" საბანკო ან სადაზღვეო კომპანიიდან, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან.

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ლანა ტალახაძე, 599331455, l.talakhadze@rs.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად;

2. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე, რომელშიც, თარგმანის სისწორე ან/და მთარგმნელის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიული წესით;

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად;

4. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება;

5. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით. პრეტენდენტი ვალდებულია ფასების ცხრილში (ხარჯთაღრიცხვა) მითითებული ერთეულისა და საერთო ფასები გამოსახოს და შესაბამისად გაინაგარიშოს ლარის მეასედის - თეთრების სიზუსტით (მძიმის შემდეგ ორი ციფრი);

6. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე), თუ არ იქნება წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) ან ის წარმოდგენილი იქნება განუფასებლად (გარდა იმ შემთხვევისა, თუ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა არ აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს);

7. მიმწოდებელმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შეასრულოს, მინიმუმ, პროექტით განსაზღვრული დასახელებისა და რაოდენობის მანქანა-მექანიზმებით. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს მიმწოდებლის მიერ, ვალდებულების შესრულების კონტროლი;

8. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სამუშაოების განმახორციელებელი პერსონალის ზედამხედველთან შეთანხმება, შესაბამისი პერსონალის სახელის, გვარის, დაკავებული პოზიციის მითითებით. ზედამხედველი უფლებამოსილია მიმწოდებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია მიმწოდებლის პერსონალთან დაკავშირებით.

9. პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოსადგენ მის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე ან/და ინფორმაციაზე (გარდა excel-ის ფორმატის ფაილისა) შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი